

ქალაქ ქუთაისში, ჭავჭავაძის გამზირი N37 საცხოვრებელი სახლის
N42 ბინაზე, მოქალაქე ვალერიან ქასრაშვილისათვის საკუთრების
უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიამ განხილული იქნა ჭავჭავაძის გამზირი N37 საცხოვრებელი სახლის N42 ბინაში მცხოვრები მოქალაქე ვალერიან ქასრაშვილის განცხადებები /2013 წლის 21.06 Nქ-6644, 15.07 Nქ-7369/, რითაც ითხოვს საცხოვრებელ ბინაზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, ჭავჭავაძის გამზირი N37 საცხოვრებელი სახლის N42 ბინა/, საკუთრების უფლების დამადასტურებელი მოწმობის გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, ჭავჭავაძის გამზირი N37 საცხოვრებელი სახლის N42 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე ვალერიან ქასრაშვილს.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების მართვისა და პრივატიზების სამსახურმა /ბ.ცეციფურიშვილი/, ქალაქ ქუთაისში, ჭავჭავაძის გამზირი N37 საცხოვრებელი სახლის N42 ბინაზე /საერთო ფართობი 29,40 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 16,80 კვ.მ, დამხმარე ფართობი 12,60 კვ.მ./ მოქალაქე ვალერიან ქასრაშვილის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა გ.შარაბიძემ.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრამის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერი

დ.კოპალიანი